განკარგულება:**g-73. 7325220001**
თარიღი:**08/08/2025**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის~ 45-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის‘‘ 61-ე მუხლის საფუძველზე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1
დამტკიცდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის მორიგი 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების თანდართული ნუსხა (დანართი №1).

მუხლი 2
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 აგვისტოს №73. 73242432 განკარგულება.

მუხლი 3
განკარგულება გადაეგზავნოს №56 ჭიათურის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 4
განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 5
ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩხერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: საჩხერე, აღმაშენებლის ქ.№3) განკარგულების ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ალექსანდრე ციცქიშვილი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი №1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2025 წლის 4 ოქტომბრის არჩევნებისათვის მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად გამოყოფილი შენობები

№	შენობის დასახელება	ადგილმდებარეობა
1	კულტურის ცენტრი	ქ. ჭიათურა, თხელიძის ქ.№7
2	ნაგუთის კულტურულ-სპორტული კომპლექსი	ქ. ჭიათურა, წმინდა გერმანეს ქ.№19
3	ჭიათურის ცენტრალური ბიბლიოთეკის №5 განყოფილება	ქ. ჭიათურა, გოგებაშვილის ქ.№31
4	გადახურული სტადიონის შენობა	ქ. ჭიათურა, იაშვილის ქუჩა
5	სარიტუალო დარბაზის შენობა	სოფელი კაცხი
6	სასოფლო კლუბი	სოფელი ქვაციხე
7	ბიბლიოთეკის შენობა	სოფელი ვაჭევი
8	ადმინისტრაციული შენობის დარბაზი	სოფელი ხრეითი
9	საბავშვო ბაღის შენობა	სოფელი რგანი
10	ადმინისტრაციული შენობის დარბაზი	სოფელი სარქველეთუბანი
11	კულტურის სახლი	სოფელი თაბაგრები
12	ბაღის შენობა	სოფელი წირქვალი
13	სარიტუალო დარბაზი	სოფელი ხვაშითი
14	კულტურის სახლი	სოფელი ზოდი
15	კულტურის სახლი	სოფელი ითხვისი
16	კულტურის სახლი	სოფელი პერევისა
17	სარიტუალო დარბაზის შენობა	სოფელი შუქრუთი
18	სარიტუალო დარბაზის შენობა	სოფელი ნიგოზეთი
19	ყოფილი კლუბ-კანტორის შენობა	სოფელი ქვედა ბერეთისა
20	კულტურის სახლი	სოფელი მანდაეთი
21	ბაღის შენობა	სოფელი სვერი
22	ადმინისტრაციული შენობის დარბაზი	სოფელი გეზრული